

**შპს „არასახელმწიფო საერო
ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა -
მერმისი“**

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2025 წ.

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია	3
1.1. კომპანიის შესახებ	3
1.2. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე	3
2. საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები	4
2.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)	4
2.2. სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)	5
2.3. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ლარი).....	6
2.4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარი)	6
3. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
3.1. მომზადების საფუძვლები	7
3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3.2.1. აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება	8
3.2.2. აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება	8
3.2.3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა	9
3.3. ძირითადი განმარტებები და კომენტარები	9
3.3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	9
3.3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9
3.3.3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა	9
3.3.4. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა	10
3.3.5. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა	10
3.3.6. შემოსავლების აღრიცხვა	11
3.3.7. ხარჯების აღრიცხვა	11
3.3.8. მოგება-ზარალი	11
3.3.9. მოგების გადასახადი	12
4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. კომპანიის შესახებ

აღნიშნული დოკუმენტის მიზანია დაინტერესებულ პირებს მისცეს შპს „არასახელმწიფო საერო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა - მერმისი“ (შემდგომში - „კომპანია“) საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება.

კომპანია დაფუძნებულია 1996 წლის 2 აგვისტოს (რეგისტრაციის N4/4-560).

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N17-ა.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 203840246.

ინფორმაცია კომპანიის დამფუძნებლებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირების შესახებ:

ლალი ვაშაკიძე, 01018003518, 33.33%

ირინე სოლტიში, 01008010361, 33.33%

მანანა მალაზონია, 01008006344, 33.34%

წარმომადგენლობითი უფლებამოსილი პირი და დირექტორი არის პარტნიორი, მანანა მალაზონია.

1.2. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებს და წინაწარ განზრახული ქმედებით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულ იქნა 2025 წლის 25 სექტემბერს.

2. საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

2.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

		2022	2023	2024
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	3.3.1	130,795	155,808	86,274
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.3.2	153,852	71,961	93,716
ფინანსური აქტივები		0	0	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3.3.3	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		6,696	8,109	6,566
ძირითადი საშუალებები (წმინდა)	3.3.4	1,010,088	955,745	905,651
საინვესტიციო ქონება		0	0	0
არამატერიალური აქტივები	3.3.5	12,906	15,149	15,280
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივი		0	0	8,118
სულ აქტივი		1,314,337	1,206,772	1,115,605
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-5,458	-8,897	0
მოკლევადიანი სესხები		0	0	-12,000
ფინანსური ვალდებულებები		-146,139	-131,855	-114,888
საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები		5,026	0	0
გადავად. საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები		0	0	0
ანარიცხები		0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-139	0	0
სულ ვალდებულებები		-146,711	-140,752	-126,888
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		-59,340	-59,340	-59,340
გაუნაწილებელი მოგება		-455,295	-353,689	-276,386
რეზერვები და დაფინანსება		-652,991	-652,991	-652,991
სულ კაპიტალი		-1,167,626	-1,066,020	-988,717
სულ პასივები		-1,314,337	-1,206,772	1,115,605
სულ მოკლევადიანი აქტივები				
		291,343	235,879	186,556
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები				
		-572	-8,897	-12,000

დირექტორი: /მანანა მაღაზონია/

ბუღალტერი: /ლელა ჩხეტია/

2. საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

2.1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)

		2022	2023	2024
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	3.3.1	130,795	155,808	86,274
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3.3.2	153,852	71,961	93,716
ფინანსური აქტივები		0	0	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3.3.3	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები		6,696	8,109	6,566
ძირითადი საშუალებები (წმინდა)	3.3.4	1,010,088	955,745	905,651
საინვესტიციო ქონება		0	0	0
არამატერიალური აქტივები	3.3.5	12,906	15,149	15,280
ბიოლოგიური აქტივები		0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივი		0	0	8,118
სულ აქტივი		1,314,337	1,206,772	1,115,605
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		-5,458	-8,897	0
მოკლევადიანი სესხები		0	0	-12,000
ფინანსური ვალდებულებები		-146,139	-131,855	-114,888
საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები		5,026	0	0
გადავად. საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები		0	0	0
ანარიცხები		0	0	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-139	0	0
სულ ვალდებულებები		-146,711	-140,752	-126,888
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი		-59,340	-59,340	-59,340
გაუნაწილებელი მოგება		-455,295	-353,689	-276,386
რეზერვები და დაფინანსება		-652,991	-652,991	-652,991
სულ კაპიტალი		-1,167,626	-1,066,020	-988,717
სულ პასივები		-1,314,337	-1,206,772	1,115,605
სულ მოკლევადიანი აქტივები				
		291,343	235,879	186,556
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები				
		-572	-8,897	-12,000

დირექტორი:

/მანანა მაღაზონია/

ბუღალტერი:

/ლელა ჩხეტია/



2.2. სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)

		2022	2023	2024
შემოსავლები	3.3.6			
მომსახურების გაწევიდან		1,045,550	1,105,289	1,068,663
სხვა შემოსავალი		12,969	10,304	17,100
რეალიზ. საქონლის თვითღირებულება		-928	-10,981	-13,420
საწყისი მარაგები		0	0	0
მარაგების შესყიდვა		0	0	0
საბოლოო მარაგები		0	0	0
საერთო მოგება		1,057,591	1,104,612	1,072,343
შრომის ანაზღაურებასთან დაკავშ. ხარჯები		-780,835	-777,316	-846,326
ცვეთა და ამორტიზაცია		-47,034	-49,219	-45,462
საპროცენტო ხარჯი		-8,341	-19,563	-15,568
საპროცენტო შემოსავალი		0	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-190,133	-187,196	-206,160
სულ საოპერაციო ხარჯები	3.3.7	-1,026,343	-1,033,293	-1,113,516
საოპერაციო მოგება		31,248	71,318	-41,173
არასაოპერაციო შემოსავალი		663	2,090	82
არასაოპერაციო ხარჯი		-21,679	-84,844	-36,212
მოგება-ზარალი მოგების გადასახადამდე		10,232	-11,436	-77,303
მოგების გადასახადის ხარჯი	3.3.9	-15,251	-13,538	0
მოგება-ზარალი	3.3.8	-5,019	-24,975	-77,303

დირექტორი: /მანანა მაღაზონია/

ბუღალტერი: /ლელა ჩხეტია/

2.2. სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)

		2022	2023	2024
შემოსავლები	3.3.6			
მომსახურების გაწევიდან		1,045,550	1,105,289	1,068,663
სხვა შემოსავალი		12,969	10,304	17,100
რეალიზ. საქონლის თვითღირებულება		-928	-10,981	-13,420
საწყისი მარაგები		0	0	0
მარაგების შესყიდვა		0	0	0
საბოლოო მარაგები		0	0	0
საერთო მოგება		1,057,591	1,104,612	1,072,343
შრომის ანაზღაურებასთან დაკავშ. ხარჯები		-780,835	-777,316	-846,326
ცვეთა და ამორტიზაცია		-47,034	-49,219	-45,462
საპროცენტო ხარჯი		-8,341	-19,563	-15,568
საპროცენტო შემოსავალი		0	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		-190,133	-187,196	-206,160
სულ საოპერაციო ხარჯები	3.3.7	-1,026,343	-1,033,293	-1,113,516
საოპერაციო მოგება		31,248	71,318	-41,173
არასაოპერაციო შემოსავალი		663	2,090	82
არასაოპერაციო ხარჯი		-21,679	-84,844	-36,212
მოგება-ზარალი მოგების გადასახადამდე		10,232	-11,436	-77,303
მოგების გადასახადის ხარჯი	3.3.9	-15,251	-13,538	0
მოგება-ზარალი	3.3.8	-5,019	-24,975	-77,303

დირექტორი:

[Handwritten Signature]

/მანანა მალაზონია/

ბუღალტერი:

[Handwritten Signature]

/ლელა ჩხეტიია/



2.3. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ლარი)

საწყისი ნაშთი (01.01.2024)	1,167,626
გაუნაწილებელი მოგება	0
დაუფარავი ზარალი	77,303
ნაშთი პერიოდის ბოლოს (31.12.2024)	988,717

2.4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარი)

	2023	2024
ნაშთი წლის დასაწყისში	130,795	155,808
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	58,859	-36,408
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-33,846	-33,220
სავალუტო კურსის ეფექტი	0	94
ნაშთი წლის ბოლოს	155,808	86,274

დირექტორი: /მანანა მალაზონია/

ბუღალტერი: /ლელა ჩხეტია/

2.3. კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება (ლარი)

საწყისი ნაშთი (01.01.2024)	1,167,626
გაუნაწილებელი მოგება	0
დაუფარავი ზარალი	77,303
ნაშთი პერიოდის ბოლოს (31.12.2024)	988,717

2.4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარი)

	2023	2024
ნაშთი წლის დასაწყისში	130,795	155,808
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	58,859	-36,408
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-33,846	-33,220
სავალუტო კურსის ეფექტი	0	94
ნაშთი წლის ბოლოს	155,808	86,274

დირექტორი:



/მანანა მალაშვილია/

ბუღალტერი:



/ლელა ჩხეტია/

3. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

3.1. მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

3.2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ზოგად საგანმანათლებლო საშუალო სკოლის პროგრამით სასწავლო პროცესის ორგანიზება;
- სასწავლო პროცესის სწორად და ხარისხიანად წარმართვის მიზნით პედაგოგებისათვის შრომისა და პროფესიული საქმიანობის საჭირო პირობების შექმნა;
- მოსწავლეებისათვის სწავლისა და დასვენების საუკეთესო პირობების შექმნა.

წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია შემდეგი ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი);
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“.

კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორ ორგანიზებას უზრუნველყოფს დირექტორი.

3.2.1. აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა;
- მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით.

3.2.2. აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.

ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისათვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. სტანდარტის მიხედვით კომპანია იყენებს განსხვავებულ საფუძველს სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისათვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება:

- აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტის ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტის ოდენობა, ან ვალდებულებების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტის ოდენობა, რომლის კომპანიიდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულებების დასაფარად ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელი ღირებულება პლუს/მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი ან შემოსავალი.
- რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გამლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ასეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური ღირებულების შეფასება.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, თუ სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება, როგორცაა, მაგალითად რეალური ღირებულება.

შემდგომი შეფასება.

უმცირესი ღირებულებით აქტივების შეფასების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივები შეფასებული არ იყოს იმაზე უფრო დიდი ღირებულებით, რა სიდიდის სარგებლის მიღებასაც მოულის კომპანია აქტივის გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

3.2.3. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა

კომპანიის მიერ გამოყენებული ანგარიშთა გეგმა შედგენილია საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის საფუძველზე, კომპანიის სპეციფიკის გათვალისწინებით.

3.3. ძირითადი განმარტებები და კომენტარები

3.3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფული და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე ვადით. 3 თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულადი სახსრებისა და მათ ეკვივალენტებში.

3.3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (დებიტორული დავალიანება) არის კომპანიის ძირითადი საქმიანობის - მომსახურების რეალიზაციის შედეგად მომხმარებლისაგან მისაღები თანხები. შესაბამისად ისინი კლასიფიცირებულნი არიან, როგორც მოკლევადიანი აქტივები.

მათი აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.3.3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა

შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან,

ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს. მათი მარაგების აღრიცხვისათვის გამოიყენება უწყვეტი მეთოდი.

3.3.4. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც იმყოფება კომპანიის განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურებას მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმია მსს ფასს-ის მე-17 განყოფილება.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს:

- ნასყიდობის ფასს;
- საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს;
- არადაბრუნებად გადასახადებს;
- დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს;
- მონტაჟისა და მუშა მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლოატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

3.3.5. არამატერიალური აქტივების აღრიცხვა

არამატერიალური აქტივების აღრიცხვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- შეძენილი არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს ნასყიდობის ფასს;
- უსასყიდლოდ მიღებული არამატერიალური აქტივი შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით;
- ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივი აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

3.3.6. შემოსავლების აღრიცხვა

კომპანიის შემოსავლების წყაროა:

- სწავლის საფასური;
- იჯარა;
- ვაუჩერი;
- სხვა შემოსავალი.

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით.

ცალკეული მოსწავლეების მხრიდან სწავლის საფასურის ოდენობა შეიძლება იყოს დიფერენცირებული და დამოკიდებულია მენეჯმენტის გონივრულ გადაწყვეტილებაზე.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგები ბალანსის შედგენის თარიღისათვის აღიარდება მომსახურების შედეგების საიმედო შეფასებით.

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღიარდება, როგორც საოპერაციო შემოსავალი.

3.3.7. ხარჯების აღრიცხვა

ხარჯების აღრიცხვის ძირითადი პრინციპები:

- ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით;
- ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგენაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ველდებულებების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3.3.8. მოგება-ზარალი

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება:

- დივიდენდების გასაცემად;
- საზოგადოების რეინვესტირებისათვის;
- სხვა მიზნებისათვის, პარტნიორთა გადაწყვეტილებით.

3.3.9. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახდელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებსა და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

მოგების გადასახადი იანგარიშება სააღრიცხვო მოგებიდან და აისახება საგადასახადო ხარჯის სახით. სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა აღირიცხება გადავადებული საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით, რომელიც აღირიცხება შესაბამის ანგარიშებზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისათვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისათვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო ან ვალდებულებების აღიარება.

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, რომლის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა და ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი;
- სხვაობა საკონტრაქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის;
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საჩუქრები და უფასო მიწოდება;
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს.

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

დირექტორი:

/მანანა მაღაზონია/

4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.

დირექტორი:



/მანანა მალაზონია/

